

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში  
ცვლილებების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

**1. კოდექსის 159<sup>5</sup> და 159<sup>6</sup> მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 159<sup>5</sup>. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების ან მეთოდის არასწორად შერჩევა

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალების ან მეთოდის არასწორად შერჩევა ტენდერის ჩატარების თავიდან აცილების მიზნით, ან სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის განხორციელების საშუალებების იმ მონეტარული (ფულადი) ზღვრების თავიდან აცილების მიზნით, რომლებიც დადგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით, –

გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე.

**მუხლი 159<sup>6</sup>. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესების დარღვევა**

1. სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელებისას ტენდერის შესახებ განცხადების ან სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად შედგენა – გამოიწვევს სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა – შრომის ანაზღაურების სამასიდან ოთხას მინიმალურ ოდენობამდე.

2. სატენდერო კომისიის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების, საკვალიფიკაციო შერჩევისა და პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების არასათანადოდ (ტენდენციურად) შეფასება – გამოიწვევს სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრების დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას

მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა – შრომის ანაზღაურების სამასიდან ოთხას მინიმალურ ოდენობამდე.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების წესების დარღვევა – გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის (გამარტივებული შესყიდვის წესით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას) დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ან სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრების (სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ტენდერის ან ტენდერის საშუალებით განხორციელებისას) დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა – შრომის ანაზღაურების სამასიდან ოთხას მინიმალურ ოდენობამდე.

## **2. კოდექსის 159<sup>8</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**მუხლი 159<sup>8</sup>. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მოთხოვნის შეუსრულებლობა**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებული დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა – გამოიწვევს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგებელი პირის (გამარტივებული შესყიდვის წესით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას) დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ან სატენდერო კომისიის შესაბამისი წევრების (სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ტენდერის ან ტენდერის საშუალებით განხორციელებისას) დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორასიდან სამას მინიმალურ ოდენობამდე, ხოლო სატენდერო კომისიის თავმჯდომარისა – შრომის ანაზღაურების სამასიდან ოთხას მინიმალურ ოდენობამდე.

## **მუხლი 2**

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*